ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №3

24.12.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, სალომე კობალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **ვახტანგ სურგულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილე;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი);
3. **გიორგი ვახტანგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილე;
4. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134435-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსის) მოადგილე

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების განხილვა - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)/

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და და პროექტების განხილვა - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134435-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418 200 ლარით,** რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115 700 ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501 200 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (№04-03/143397) გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501 200 ლარით, სხვა შემოსავლები (პარკირების მართვის უფლების გადაცემიდან მისაღები შემოსავლები) 30 000 000 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000 000 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000 000 ლარით. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (43 500 000 ლარი) გამოყოფილი სესხის მომსახურების ფარგლებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფარად მისაღები შემოსავლები - 3 500 000 ლარით, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირების ხარჯზე.

გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - „მეტის სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - 262 892 500 ლარი;

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 259 782 600 ლარი;

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 167 317 100 ლარი;

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 1 845 000 ლარი;

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 41 115 200 ლარი;

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 176 777 000 ლარი;

- **განათლება** - 208 486 900 ლარი;

- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 48 805 500 ლარი;

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 5 217 800 ლარი;

- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 133 178 900 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების **საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 230 318 200 ლარის ოდენობით,** რაც 2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 020 159 300 ლარი) შედარებით გაზრდილია 210 158 900 ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 85 501 200 ლარით. მათ შორის:

- **გადასახადები** - 757 869 400 ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 100 513 600 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 501 200 ლარით მეტია).

მათ შორის:

- დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 547 869 400 ლარს (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 80 513 600 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 5 501 200 ლარით მეტია).

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000 000 ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 14 000 000 ლარით);

- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000 000 ლარი (2021 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 1 000 000 ლარით);

- მიწაზე ქონების გადასახადი 16 000 000 ლარი.

გრანტები - 269 005 000 ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 13 068 900 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 50 000 000 მეტია). მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505 000 ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 225 000 000 ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში 50 000 000 ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და გვირაბების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, თბილისის მასშტაბით რკინა-ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა/ რეაბილიტაციის სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლება; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; ვაკის პარკის კასკადისა და შადრევნების და ზღვის უბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბაგა-ბაღების და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; პროექტირების, მსხვილი არეალების რეაბილიტაციის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, ისტორიული სადარბაზოების და მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები და სხვა).

- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 43 500 000 ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული

ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 500 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 750 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების III ფაზის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 11 250 000 ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 17 500 000 ლარი, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადი - 3 500 000 ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000 000 ლარი).

სხვა შემოსავლები: 203 443 800 ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 46 576 400 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 30 000 000 ლარით მეტია). მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000 000 ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000 000 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000 000 ათასი ლარი;

- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000 000 ლარი;

- სხვადასხვა შემოსავლები – 49 443 800 ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის **ხარჯები** განსაზღვრულია 982 943 000 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 87 417 200 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 161 383 400 ლარი, პროცენტი 11 079 900 ლარი, სუბსიდიები 321 742 200 ლარი, გრანტები 485 700 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 829 900 ლარი, სხვა ხარჯები 232 005 200 ლარით.

ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** განისაზღვრა 247 375 200 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 226 844 600 ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 301 844 600 ლარი.

- არაფინანსური აქტივების კლება – 75 000 000 ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში გაზრდილია 20 000 000 ლარით (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000 000 ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია (100 000) ათასი ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას.

ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია 20 630 600 ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2022 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 20 530 600 ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (კოდი: 03)** - ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა **167 317 100 ლარით,** რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (148 944 100 ლარი) შედარებით გაზრდილია 18 373 000 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 28 500 000 ლარით მეტია. მათ შორის: **გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)** პროგრამის ასიგნებები იზრდება – 28 500 000 ლარით;
2. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი: 09)**, რომლის დაფინანსების ოდენობაც განსაზღვრულია - 5 217 800 ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02) - 4 350 700 ლარით.

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ სხდომაზე წარდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. აბაშიძემ - 2022 წლის ბიუჯეტის პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში, 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო (დაკორექტირებული) პროექტით **გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01)** პროგრამის ასიგნებების 28 500 000 ლარით გაზრდისა და გაზრდილი დაფინანსების პროგრამებსა და პროექტებზე გადანაწილების შესახებ.

ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ - ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) სააგენტოს ბიუჯეტის პროპორციულად შედგენისა და ასევე, აღნიშნული სააგენტოს დაფინანსების დიდი წილის შრომის ანაზღაურების მიმართულებით დაგეგმვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ბატონმა ნ. კახეთელიძემ აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა მისი ბიუჯეტის სწორად და პროპორციულად დაგეგმვა.

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, ბ-ნმა ლ. მიქავამ, რომლის ინფორმაციით:

- **გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01)** პროგრამის გაზრდილი დაფინანსება გადანაწილდება ქალაქში დასარგავი მცენარეების შესყიდვაზე, ახალი 10 პარკის მშენებლობას და სხვა პროექტებზე.

- ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) სააგენტოს სტრუქტურით გათვალისწინებულია 125 საშტატო ერთეული, ამას ემატება, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა. შესაბამისად, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ბიუჯეტის დაგეგმვისას, თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა სარგოს მუხლი ითვალისწინებს მათ ხელფასებს, ხოლო ბიუჯეტის დანარჩენი სახსრები მიმართულია სააგენტოს ძირითად ფუნქციებსა და საქმიანობაზე.
- 2022 წელს მოხდება შრომის ანაზღაურების (ხელფასების) 10%-იანი ზრდა, რაც ყველა საჯარო მოსამსახურის ხელფასზე აისახება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სხვა შეკითხვები არ დასმულა, განსხვავებული აზრი და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134435-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 10 დეკემბრის №12-032134435-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების განხილვა

მომხსენებლის, ბ-ნი გ. გიგაშვილის მიერ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების თაობაზე ინფორმაციის წარდგენამდე, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა თბილისში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება დედაქალაქისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და, მისი აზრით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და მთავრობის მიერ გარემოს დაცვის თემები პირველ ადგილზეა დაყენებული. ამ მიმართულებით, ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საქმიანობა, საერთო ჯამში, შესაძლებელია წარმატებულად ჩაითვალოს და ამის თქმის საფუძველს მათ მიერ შესრულებული სამუშაოები იძლევა. თუმცა, გარემოს დაცვის მიმართულებით უფრო ეფექტიანი საქმიანობისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებს სათანადო ხელშეწყობა ჰქონდეთ.

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში (მეშვიდე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების პერიოდში), გარემოს დაცვის კომისიასა და ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შორის აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობა შედგება.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა.

მომხსენებელი, ბატონი გ. გიგაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან სხდომის თავმჯდომარეს სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასებისთვის მადლობა გადაუხადა და აქტიური თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა. ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის შექმნის ისტორიის, ფუნქციების, მიმართულებებისა და სტრუქტურის შესახებ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სტრუქტურიდან გამომდინარე, ძირითადად, ოთხი **(გარემოსდაცვითი მართვის, სატყეო პოლიტიკის, მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების (მწვანე ინფრასტრუქტურის) და, ასევე, ნებართვების და მონიტორინგის)** მიმართულებით ხორციელდება სამსახურის საქმიანობა. მისი ინფორმაციით, 2018 წელს, როდესაც შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01) დაფინანსება შეადგენდა 17 მილიონ ლარს, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებულია 83 მილიონი ლარი.

მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) ისაუბრა იმ გარემოსდაცვით გამოწვევებზეც, რომლის წინაშეც დგას ქალაქი და კერძოდ, ქალაქ თბილისი მუნუციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

ამის შემდეგ, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დეტალურად ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროექტების თაობაზე. კერძოდ:

- **ქ. თბილისში, ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.19.20.007.055; 01.19.20.002.088) არსებული პარკის რეაბილიტაცია (2021-2022 წლები).** პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს არსებული ბუნებრივი რესურსების, ხე-ნარგავების შენარჩუნებით და გარემოში მინიმალური ჩარევით თანამედროვე სარეკრეაციო სივრცის შექმნა შესაბამისი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით. პარკის ტერიტორია მოიცავს 3 ჰექტარს, რომელიც დაიყოფა პასიურ და აქტიურ დასვენების ზონად. მოეწყობა მოსასვენებელი სივრცეები საჩრდილობლებით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი საბავშვო მოედნები დატვირთული სათანადო ატრაქციონებით, სპორტული და სავარჯიშო მოედნები, ღია ამფითეატრი, შადრევანი, წყლის დასალევი შადრევნები, სკეიტ პარკი, გადმოსახედი ბაქანი, განახლდება არსებული საფეხმავლო ხიდი, ველობილიკი, ძაღლების სასეირნო და სავარჯიშო სივრცე, საზოგადოებრივი საპირფარეშო. პარკის ტერიტორია შეივსება ახალი ხე-მცენარეებით და მდელოს სახით გაჩნდება საპიკნიკე არეალები, გათვლილი იქნება ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და სრულად იქნება ადაპტირებული.
- **ზღვის უბნის პარკის მოწყობა (2020-2021-2022 წლები).** აღნიშნული ტერიტორია, სადაც პარკის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, წლების განმავლობაში იყო დაჭაობებული და დაბინძურებული, ფაქტობრივად ნაგავსაყრელადაც იყენებდა მოსახლეობა.

ზღვის უბნის ახალ პარკში, რომლის ფართობიც 22 ჰექტრამდეა, მოეწყობა სკეიტპარკი, სარბენი, სასეირნო და საველოსიპედო ბილიკები. ასევე, სპორტული და საბავშვო მოედნები. ტერიტორიაზე ასევე, მოეწყობა კაფე, მედიათეკა, ბელვედერი და ძაღლების სასეირნო სივრცე.

ამასთან, ტერიტორიაზე გაკეთდება ორი ხელოვნური ტბა, რომელსაც ერთმანეთთან მდინარე დააკავშირებს. ასევე, მოეწყობა განათების სისტემა, სარწყავი სისტემა და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა.

ტერიტორიაზე დაგეგმილია 4764 ძირი ხის, 820 ბალახოვანი მცენარისა და 4640 ძირი ბუჩქის დარგვა. ასევე, 55 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესება ბალახი. რეკრეაციული ზონის მოწყობასთან დაკავშირებით წინასაპროექტო სამუშაოები 2019 წელს განხორციელდა, რომელიც ასევე, ტერიტორიის გეოდეზიურ კვლევას მოიცავდა.

სამუშაოების დასრულება 2022 წლის 6 დეკემბრისთვის იგეგმება.

მომხსენებლის მიერ დამატებით აღინიშნა, რომ ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების ჩატარების პროცესში, 3 კმ² ფართობზე გამოვლინდა ჭაობიანი ადგილი, რის გამოც შეფერხდა სამშენებლო სამუშაოების პროცესი. გარდა ამისა, ამ ტერიტორიაზე მდებარე კოლექტორი, რომელიც 20-25 წლის წინ აშენდა, სრულიად განახლდა, მოეწყო თანამედროვე კოლექტორის სისტემა და მალე დაიწყება უშუალოდ პარკის მოწყობის სამუშაოები.

- **ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაცია (2021-2022-2023 წლები).** პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კასკადისა და შადრევნების პირვანდელი იერსახით აღდგენა. ამასთან, მთლიანად განახლდება წყალმომარაგების სისტემა. პროექტირებისას მოხდა კასკადის კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა, ასევე მასალების გამოკვლევა და დაიგეგმა ზუსტად იმავე მასალებით მოპირკეთება.

ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით ბ-ნმა გ. გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ 2021 წელს გამოცხადებული ტენდერი სამჯერ ჩაიშალა გასაჩივრების გამო. სამივე შემთხვევაში, სამსახურმა წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის თანახმად დამტკიცდა, რომ სამივე შემთხვევაში ყველა სატენდერო მოთხოვნა და პროცედურა დაცული იყო სამსახურის მხრიდან. ხოლო მეოთხედ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა ოქტომბრის თვეში, რის გამოც შეფერხდა კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. ამ მიზეზით, პროექტისთვის გათვალისწინებული თანხა აისახა (გადავიდა) 2022 წლის ბიუჯეტში.

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები (ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია).** აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია რიგის ბულვარის, გეგეშიძის, პუშკინის, ლონდონის სკვერების რეაბილიტაცია, დამატებით სარაჯიშვილის ბულვარისა და ავჭალის პარკის მოწყობა. აღნიშნულ ტერიტორიებზე მოეწყობა ბილიკები, სარწყავი სისტემა, განათების ქსელი, განთავსდება საპარკო ფურნიტურა, მოეწყობა გამწვანებული თარგები და დაირგვება სხვადასხვა სახეობის ნარგავები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სარაჯიშვილის ბულვარის პროექტს, რომლისთვისაც 2022 წელს გათვალისწინებულია დაახლოებით 8 500 000 ლარი და იგეგმება ახალი კონცეფციის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გენდერული სარეკრეაციო სივრცის მოწყობა.

პროექტების ფარგლებში ასევე განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში აღდგენა-მოწყობის სამუშაოები.

- **სათამაშო ატრაქციონებისა და სპორტული ტრენაჟორების შესყიდვა თანმდევი მომსახურება (მონტაჟი).** პროექტების ფარგლებში განხორციელდება 22 გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობისა და 58 საბავშვო ატრაქციონის განთავსება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.
- **საბაღე ფურნიტურის შეძენა/რეაბილიტაცია.** აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდება 598 საპარკო სკამისა და 360 დეკორატიული ურნის განთავსება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.

- **სხვადასხვა ტერიტორიაზე დარგული მერქნიანი მცენარეების მოვლა–პატრონობა.** განხორციელდება 27825 ნერგის მოვლა-პატრონობა (3 ობიექტზე ფართობით 19.2 ჰა); მოვლა-პატრონობა მოიცავს მორწყვას, მოთოხნას, შეწამვლას, სასუქების შეტანას.
- **მცენარეთა შესყიდვა.** შეძენილ იქნება 40459 მცენარე, მათ შორის 26836 ბუჩქი, 4673 დიდი ზომის ხე, 5000 ბალახოვანი მცენარე, 3500 მცირე ზომის ხე და 450 მცირე ზომის ბუჩქი, რომელიც დაირგვება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნული პროექტისთვის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 9 მილიონი ლარი.
- **ფერდობებზე ტყის გაშენება.** დაგეგმილია 16.1 ჰა ტერიტორიაზე ტყის (მწვანე ნარგავების გაშენება); დარგული იქნება არანაკლებ 15000 სხვადასხვა სახეობის ნერგი.

ტყის გაშენების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ გეგმაშია 300 ჰა დეგრადირებული სატყეო მასივების აღდგენა 4 წლის განმავლობაში. აღნიშნული სამუშაოები უკვე განხორციელდა 2 ლოკაციაზე, ერთ-ერთ ლოკაციად დასახელდა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია.

- **ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი-ჰიდროთესვა).** რულონური გაზონი დაიგება 11600 კვ.მ. ფართობზე, ხოლო ჰიდროთესვის მეთოდით დათესილ იქნება 105000 კვ.მ. ფართობი.
- **სხვადასხვა სახეობის სეზონური ყვავილები.** ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დაირგვება 226 500 სეზონური ყვავილი, მათ შორის 65 600 ზამთრის ყვავილი.
- **ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების წინასწარი აღრიცხვის ჩატარების და (მონიშვნა) და მონიშნული ხმელი, ხმობადი და ავარიული ხეების მოჭრა.** სანიტარიული ჭრების ფარგლებში განხორციელდება 15400 დაავადებული ხის მოსაჭრელად მონიშვნა და მოჭრა; ამოღებულ იქნება 415 კუნძი.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, დედაქალაქში მწვავედ დგას მწვანე ნარგავების, განსაკუთრებით წიწვოვანი ხე-მცენარეების დაავადების საკითხი. რამდენიმე წლიანი მუშაობის შედეგად, სანიტარული ჭრებისა და ბუფერული ზონების შექმნით, პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია და თბილისში დარჩენილია რამდენიმე ასეთი კერა, რომელიც დაახლოებით 2 წელიწადში აღარ იარსებებს.

- **ქ. თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება.** დეგრადირებულ ტერიტორიებზე შეტანილ იქნება 10000 კბ.მ. მიწის ნოყიერი ნაზავი (ორგანული სუბსტრაქტი); მოიჭრება 600 კბ.მ. სტრუქტურადარღვეული ნიადაგი, 600 კბ.მ. ასფალტის საფარი და 700 კბ.მ. ინერტული მასა. აღნიშნული პროექტისთვის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაახლოებით 500 000 ლარი.
- **ქ. თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე სარწყავი სისტემების მოწყობა.** განხორციელდება არანაკლებ 20 ობიექტის გაწყლიანება (სარწყავის სისტემის მოწყობა).

  აღნიშნული პროექტისთვის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 800 000 ლარი.

- **პროექტირება** განხორციელდება ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3-ში, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.209; №01.19.19.005.207; №01.19.19.005.210; №01.19.19.005.176; №01.19.19.005.178; №01.19.19.005.205; №01.19.19.005.174; №01.19.19.005.202; 0№1.19.19.005.020) 14 ჰექტარ ფართობზე პარკის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
- **16.1 ჰა ფართობზე განხორციელდება ტყის გაშენების საპროექტო ღონისძიება,** მათ შორის გასაშენებელი სახეობების დაგეგმვა, მოვლა პატრონობის დაგემვა, სარწყავი სისტემის პროექტი.

ბატონმა გიგა გიგაშვილმა ასევე ისაუბრა შპს „ეკოსერვის ჯგუფის" წარმატებულ საქმიანობაზე, რომელიც შექმნილია მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. 2022 წლის ბიუჯეტით, აღნიშნული საწარმოს დაფინანსება უპრეცედენტო იქნება.

შპს „ეკოსერვის ჯგუფის" წარმატებულ საქმიანობაზე ასევე ისაუბრა **ბატონმა ნიკო კახეთელიძემ**. მან აღნიშნა, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფის" წარმატებულ საქმიანობათა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი პროდუქციის შექმნა, როგორიცაა მულჩი, რომლის შესყიდვაც ადრე ხდებოდა ტენდერის საფუძველზე სხვადასხვა ფირმებისგან. შპს „ეკოსერვის ჯგუფის" მიერ მულჩის წარმოებამ ბიუჯეტის სახსრების ეკონომია გამოიწვია.

ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე, აგრეთვე, შეეხო სარწყავი სისტემის საკითხსაც, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული შპს „ეკოსერვის ჯგუფის" საქმიანობასთან და აღნიშნა, რომ დედაქალაქის გამწვანებული სივრცეების, განსაკუთრებით ახალდარგული ხე-მცენარეების მორწყვა ხდება სამი გზით: ტექნიკური წყლით, ჯორჯიან უოთერ ანდ ფაუერის სისტემიდან მიწოდებული სასმელი წყლით ან წყალმზიდებით. ტექნიკური წყლის სარწყავად გამოყენება ყველაზე ეკონომიურია დედაქალაქისთვის, მაგრამ რესურსი მცირეა, თუმცა, არის ტერიტორიები, სადაც ვერც ტექნიკური და სასმელი წყლით მორწყვა ვერ ხერხდება და ამ შემთხვევაში გამოიყენება წყალმზიდები. ბ-ნი ნ. კახეთელიძის წინადადებით, საჭიროა ამ მიმართულებით მოინახოს რაციონალური გამოსავალი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ ისაუბრა შპს „ეკოსერვის ჯგუფის" თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საკითხზეც და აღნიშნა, რომ მათი სამუშაო რისკებთან არის დაკავშირებული და საჭიროა ამ ადამიანებს ჰქონდეთ გაწეული სამუშაოების პროპორციული ანაზღაურება.

ბ-ნი გიგა გიგაშვილი დაეთანხმა ბატო ნიკოლოზ კახეთელიძეს და აღნიშნა, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფი" თავისი საქმიანობით ერთ-ერთი წარმატებული სამსახურია და მულჩის გარდა, ასევე დაიწყო კომპოსტის დამზადებაც, რაც ნედლეულის წარმოებასთან ერთად ნარჩენების გადამუშავებასაც გულისხმობს.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, ტექნიკური წყლის სარწყავად გამოყენება ფინანსურად ეკონომიურია, თუმცა, ტექნიკური წყლის სისტემის მოწყობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მან მაგალითად მოიყვანა კახეთის გზატკეცილზე გამწვანებული ტერიტორიის მოსარწყავად საქართველოს მელიორაციის მიერ მოწყობილი

ტექნიკური წყლის სისტემა. არასაკმარისი წყლის რესურსის გამო, მოხდა სისტემის გადაწყობა და ტერიტორია ახლა ირწყვება შერეულად, ტექნიკური და სასმელი წყლის გამოყენებით. ასევე, ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის სისტემის გამოყენებაზეც და აღნიშნა, რომ მოხმარებული წყლის საფასურის დაანგარიშება ხდება კომერციული ფასით. წყლის ტარიფის შემცირების თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა, მაგრამ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტისთვის წყლის ტარიფზე შეღავათის დაწესება, გამოიწვევდა პრეცედენტს და ამ მიზეზით შენარჩუნდა ძველი, კომერციული ტარიფი.

ბ-ნი ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა წყალმზიდებით მორწყვის ეფექტიანობის საკითხით.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა წყალმზიდებით მორწყვის ეფექტიანობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მტკვრის ორივე სანაპიროზე ჩანაცვლდა 700-მდე მოჭრილი ჭადრის ხე. იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე არ არის მოწყობილი სარწყავი სისტემა, მხოლოდ წყალმზიდით ხდება ჩანაცვლებული, ახალდარგული ხე-ნარგავების მორწყვა და შედეგი თვალშისაცემია.

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ ბ-ნ გიგა გიგაშვილს ჭაბურღილების გამოყენების წინადადებით მიმართა.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, ჭაბურღილით სარწყავი წყლის მოპოვებაზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ამ მიმართულებითაც სირთულეები შეიქმნა, კერძოდ, ჭაბურღილიდან მოპოვებული წყლის ხარისხი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს ხე-მცენარის მოსარწყავად საჭირო წყლის სტანდარტებს.

კომისიისა და საკრებულოს წევრები (ბ-ნი ნ. კახეთელიძე და ბ-ნი ვ. სურგულაძე) დაინტერესდნენ ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერის ჩაშლის გამომწვევი მიზეზებით.

აგრეთვე, შეკითხვები დაისვეს:

ქ-ნმა ნ. ვარდოსანიძემ და ბ-ნმა ვ. სურგულაძემ - გენდერული პარკის შესახებ;

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ და ქ-ნმა ს. კობალაძემ - დიღმის ჭალების და, ასევე, იპოდრომის საქალაქო მნიშვნელობის პარკების პროექტების შესახებ.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერის ჩაშლის მიზეზებზე, ტექნიკური დავალების შედგენასა და ტექნიკურ მხარეზე **დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.**

ბ-ნი გ. გიგაშვილის ინფორმაციით:

- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, ხელშეკრულების მხარე ქვეყნებს დაევალათ ახალი სტანდარტებით გამწვანებული სივრცეების (გენდერული პარკი) მოწყობა, რაც გულისხმობს, უსაფრთხო გადაადგილების მიზნით შესაბამისი განათების სისტემის, აგრეთვე, მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის სათანადოდ უზრუნველყოფილი ოთახების (რომელიც ჩვილ ბავშვთა კვებისთვის იქნება გამოყოფილი) მოწყობას და სხვ.

- მოსახლეობა და აქტივისტები ითხოვდნენ დიღმის ჭალების ტერიტორიაზე ინერტული მასალის მომპოვებელი კარიერების საქმიანობის აღკვეთასა და გარემოზე მიყენებული ზიანისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული საქმიანობა რეგულირდება კანონით და განეკუთვნება სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ასევე, ეკონომიკის სამინისტროების კომპეტენციას. ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტმა და მისმა შესაბამისმა სამსახურებმა ყველა სამართლებრივი ბერკეტი გამოიყენეს საკითხის გადასაწყვეტად. ამ ეტაპზე, აზიის განვითარების ბანკთან დადებული ხელშეკრულებით, მიმდინარეობს ტერიტორიის კვლევა, რის შემდეგაც, მუნიციპალიტეტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და პროექტის დაფინანსება აისახება როგორც თბილისის ბიუჯეტში, ასევე სამოქმედო გეგმაშიც. დიღმის ჭალების განვითარება დაგეგმილია ჭალის ტყის კონცეფციით. დამატებით აღინიშნა, რომ ამ პროცესში ჩართულია დიღმის ჭალების საკითხით დაინტერესებული ყველა საინიციატივო ჯგუფი და პირი.

ბატონმა გ. გიგაშვილმა ასევე ისაუბრა იპოდრომის ტერიტორიაზე საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობის პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტერიტორია სს „ქართუ ჯგუფმა" თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცა საკუთრებაში, თუმცა პარკის მოწყობის პროექტს ახორციელებს სს „ქართუ ჯგუფის" მიერ დაქირავებული საერთაშორისო დონის ორგანიზაცია. მიუხედავად პროექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა, მათ არგუმენტირებული დასაბუთება წარმოადგინეს როგორც კონცეფციასთან, ასევე პროექტთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს აქვს გარკვეული რეკომენდაციები, რომელსაც შესთავაზებს პროექტის ავტორებს. დაინტერესებული მოქალაქეები, აქტივისტები და საინიციატივო ჯგუფები ჩართულები იქნებიან საბოლოო პროექტის შემუშავებასა და დაგეგმვაში.

ქ-ნი სალომე კობალაძე დაინტერესდა კუს ტბის რეაბილიტაციის საკითხით.

ბატონი გიგა გიგაშვილის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას. კერძოდ, მესაკუთრეებს მიეცათ ტერიტორიის გრგ-თი განვითარების საშუალება იმ პირობით, თუ ისინი ისტორიული არეალის - კუს ტბის განვითარების ვალდებულებას აიღებენ. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე, კუს ტბა მხოლოდ ატმოსფერული ნალექით იკვებება და საჭიროებს წყლის დამატებით რესურს. ვაკის პარკის

კასკადისთვის განკუთვნილი რეზერვუარის მშენებლობის დასრულების შემდეგ, კუს ტბის წყლით მომარაგება უზრუნველყოფილი იქნება.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების თაობაზე მოსმენილი ინფორმაცია.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და და პროექტების განხილვა

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ნიკოლოზ ქობულაძემ.

მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2022 წლისთვის სააგენტო გეგმავს როგორც მიმდინარე ღონისძიებების გაგრძელებას, ასევე ახალი პროექტების განხორციელებას.

- **მიუსაფარი ცხოველებისათვის უფასო კასტრაცია-სტერილიზაციისა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამა**

სააგენტო საქმიანობის ეფექტიანობის მიზნით გეგმავს, მისი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა კიდევ უფრო გააძლიეროს და მაქსიმალურად გაზარდოს სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების რაოდენობა.

- **დედაქალაქის ქუჩებში გასვლითი მასობრივი ანტირაბიული ვაქცინაციები და რევაქცინაციები**

ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, სააგენტო 2022 წელს გააგრძელებს ცხოველების მასობრივ რევაქცინაციას. პროგრამა ისევ ცხოველების მიმკედლებლებთან კოორდინაციით განხორციელდება.

- **ცხოველების გაჩუქების პროგრამა და აქციები**

სააგენტო აგრძელებს ცხოველების გაჩუქების პროგრამას. პროგრამა მიზნად ისახავს ცხოველების დაბინავებას.

- **სამაშველო ღონისძიებები**

სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟები სამაშველო ოპერაციებს ყოველდღიურ რეჟიმში ატარებენ. სამაშველო ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, 2022 წელს იგეგმება თანამშრომლების პერიოდულად გადამზადება.

- **მიუსაფარი ძაღლებისათვის ხის სახლების დადგმა**

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო აქტიურად გააგრძელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც დედაქალაქის ქუჩებში მიუსაფარი ძაღლებისათვის მოწესრიგებული და ქალაქის იერსახისთვის შესაფერისი სახლები დაიდგმება.

აღნიშნული აქტივობით, სააგენტო როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს პროექტში ჩართულებოსა და ცხოველებზე მზრუნველობისაკენ მოუწოდებს.

- **საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები დედაქალაქის სკოლებში**

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ორგანიზებით, საჯარო და კერძო სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები გაგრძელდება.

მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- რას ნიშნავს ცხოველის კეთილდღეობა;
- რა უფლებები აქვს ცხოველს;
- მიუსაფარი ცხოველების პრობლემები და საჭიროებები;
- რატომ უკეთიათ ძაღლებს „საყურე";
- რა გავლენას ახდენს ცხოველის ყოლა ბავშვის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე;
- რა პასუხისმგებლობა აქვს ცხოველის პატრონს და სხვა.

საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ტარდება და მისი მიზანია, ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია, მოსწავლეებში შინაური ცხოველების მიმართ ემპათიისა და ჰუმანური განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

- **მიუსაფარი ცხოველების მიმკედლებლების მხარდამჭერი პროგრამები**

2022 წელს სააგენტო აქტიურად გააგრძელებს მიუსაფარი ცხოველების მიმკედლებლების მხარდამჭერ პროგრამებს. სხვადასხვა კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მათ პერიოდულად გადაეცემათ ცხოველების საკვები.

- **შეხვედრები მოსახლეობასთან**

2022 წელს სააგენტო ინტენსიურად გააგრძელებს სხვადასხვა რაიონის მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს.

მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის პოლიტიკა; კასტრაცია-სტერილიზაციის უპირატესობები; ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; საკანონმდებლო რეგულაციები; ცხოველის პატრონის უფლებები და მოვალეობები; ცოფის ვირუსის პრევენციული ღონისძიებები და სხვა.

შეხვედრების მიზანია - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ადგილობრივი პრობლემების გაცნობა და მოგვარება.

აღნიშნულ პროექტში ჩართული არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობისა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ბიუროების წარმომადგენლები.

- **ვეტერინარების უფასო კონსულტაცია**

სააგენტო გააგრძელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ვეტერინარები მიუსაფარ და პატრონიან ცხოველებს უფასოდ მოემსახურებიან (საჭიროების შემთხვევაში, ანტირაბიულ ვაქცინაციას ჩაუტარებენ).

პროექტის მიზანია ცხოველებზე მზრუნველი ადამიანებისათვის ვეტერინართან კონსულტაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

საკონსულტაციო შეხვედრები დედაქალაქის მასშტაბით ყველა რაიონში სხვადასხვა მისამართზე ჩატარდება.

- **ინფრასტრუქტურული პროექტები**

2022 წელს ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე დაგეგმილია:

- სასაწყობე შენობების მშენებლობა
- ცხოველთა ახალი ვოლიერების და ტერარიუმის მშენებლობა
- კატებისთვის განკუთვნილი შენობის შემოღობვა
- მორიგე ეკიპაჟებისთვის ახალი ბაზის მშენებლობა
- პირუტყვის დამატებითი სადგომის მშენებლობა
- მსხვილფეხა საქონლის გადასაყვანი ავტომანქანის შესყიდვა
- ვეტერინარული ინვენტარის განახლება-შესყიდვა
- სამაშველო აღჭურვილობის განახლება-შესყიდვა

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ - ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) სააგენტოს ბიუჯეტის პროპორციულად შედგენისა და ასევე, აღნიშნული სააგენტოს დაფინანსების დიდი წილის შრომის ანაზღაურების მიმართულებით დაგეგმვის მიზანშეწონილობის თაობაზე და აღნიშნა, რომ სააგენტოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 70% გათვალისწინებულია თანამდებობრივ სარგოებისთვის, ხოლო 30% - უშუალოდ სააგენტოს ფუნქციების განხორციელებისთვის.

ასევე, ბატონი ნ. კახეთელიძე დაინტერესდა, თბილისის მოსაზღვრე რაიონებიდან და მუნიციპალიტეტებიდან ცხოველების მიგრაციის კონტროლისა და ამ მიმართულებით, მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან ერთობლივი ღონისძიებების საკითხით.

ქ-ნი ნ. ვარდოსანიძე და ბ-ნი ვ. სურგულაძე დაინტერესდნენ მუნიციპალური თავშესაფრის საკითხით.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა, ბ-ნმა ნ. ქობულაძემ. მისი ინფორმაციით:

- ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ბიუჯეტის 70% ნამდვილად პერსონალის შრომის ანაზღაურებას ითვალისწინებს, მაგრამ წარმოდგენილი სტრუქტურითა და საშტატო ნუსხით, აღნიშნული დაფინანსება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტო თავის საქმიანობას ვერ განახორციელებს.

- ცხოველების პოპულაციის მართვის ყველაზე ეფექტიანი და ჰუმანური საშუალება სტერილიზაცია-კასტრაციაა, რომელსაც საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს სააგენტო და სააგენტოს ვეტერინარების მიერ 1 თვეში ჩატარებული სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების რაოდენობა ისტორიულ ნიშნულამდეა მისული. ცხოველების მიგრაციის საკითხის დარეგულირების მიზნით, მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან უახლოეს პერიოდში დაიწყება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ამ პროცესში ჩართულია ქვემო ქართლის რწმუნებულიც (გ. დოხტურიშვილი).
- სააგენტომ აირჩია სტერილიაზია-კასტრაციისა და გაჩუქების (ცხოველის აყვანის) პროგრამაში მოხალისეების ჩართვის მიმართულება, რადგან თავშესაფარში ცხოველების გადაყვანა-დატოვება მომველებული მეთოდია. ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, თავშესაფარში ცხოველი განიცდის ფსიქოლოგიურ სტრესს.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და და პროექტების თაობაზე მოსმენილი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე